საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ქ-ნ **ხათუნა გოგალაძეს**

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ირაკლი შიხიაშვილს**

ქ. თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ **სევდია უგრეხელიძეს**

ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებელს ბატონ **ჰენრი დოლიძეს**

ქ. თბილისის ჭავჭავაძის #5 (ამჟამად რამაზ ჩხიკვაძის #5) ამხანაგობის

ატენის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის

მწვანეთა მოძრაობის

პარტიზანული მებაღეობის და

საზოგადოების წარმომადგენლების, მოქალაქეების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ახალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, მიწის ნაკვეთები ს/კ: N 01.14.14.005.195, ს/კ: N 01.14.14.005.194, ს/კ: N 01.14.14.005.193 მისამართით ატენის ქ.-ის შესახვევი, წლების განმავლობაში განისაზღვრებოდა საკრეკრეაციო ზონად N2 და გამწვანებასთან ერთად დასაშვებს ხდიდა დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი მსუბუქი კონსტრუქციის აგებას, რაც ერთგვარი კომპენსაცია უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიაზე ძალზედ საჭირო და სასარგებლო, მაგრამ ამავე დროს ეკოლოგიისთვის მავნე ახალაშენებული ავტომაგისტრალის საპირწონედ.

ბოლო თვეების განმავლობაში სრულიად გაუმართლებად და ყველანაირი არგუმენტაციის გარეშე ამ ტერიტორიის ზონალობა შეიცვალა და რამოდენიმე ზონალობის გამოტოვებით ტერიტორია ერთი ხელის მოსმით სარეკრეაციო ზონიდან გადაკეთდა საზოგადოებრივ-საქმიან ზონა N1-ად. ტერიტორიის ნაწილი 01.14.14.005.195 გაიყიდა შპს „რეალ ისთეით დეველოპმენთ კომპანიზე“ და

ამ კომპანიის მოთხოვნით სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში დაჩქარებული წესით მიწის ფუნქციონალობა ასევე ერთი ხელის მოსმით ყველანაირი დასაბუთების გარეშე დასასვენებელ-გამაჯანსაღებელიდან განისაზღვრა მრავალფუნქციური (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) შენობისთვის. შპს „რეალ ისთეით დეველოპმენტ კომპანიმ“ დასამტკიცებლად წარადგინა 16 სართულიანი შენობა და მოითხოვა გზის მოწყობა გზატკეცილის მხრიდან, ამ უკანასკნელზე ეთქვა თანხმობა, ხოლო მშენებლობის ნებართვის შესახებ პასუხის გაცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 29.05.14.

ჩვენ, ამხანაგობა „ჭავჭავაძე 5“, „მომავლის სკოლა“, ატენის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა, მწვანეთა მოძრაობა, პარტიზანული მებაღეობის საზოგადოება და საზოგადოების წარმომადგენლები, ვაკის მაცხოვრებლები და უბრალოდ მოქალაქეები შეშფოთებული ვართ და პროტესტს გამოვთქვამთ გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის საქმიან-საზოგადოებრივ ზონად გადაკეთებისა და მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის წინააღმდეგ და მიგვაჩნია, რომ შპს „რეალ ისთეით დეველოპმენტ კომპანი“-ს უარი უნდა ეთქვას აღნიშნული პროექტის დამტკიცებაზე. **მოვითხოვთ აღდგეს ამ ტერიტორიის ზონალობა და აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიცეს მხოლოდ სარეკრეაციო ზონისთვის დასაშვები შენობა-ნაგებობის მშენებლობის უფლება.** აღნიშნულ მოთხოვნას საფუძვლად ვუდებთ შემდეგ არგუმენტაციას:

1. გზატკეცილის მშენებლობამ ერთის მხრივ, საგრძნობლად განტვირთა მოძრაობა ჭავჭავაძის გამზირზე და თბილისის მთავარ სატრანსპორტო არტერიად გადაიქცა, მეორეს მხრივ, დღეში ათასობით მანქანის გამონაბოლქვი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ მიკრო რაიონის ეკოლოგიას. ქალაქგეგმარების ასეთი ურბანული კერების შექმნისას, სახელმწიფო პოლიტიკა ყოველთვის ითვალისწინებს საპირწონედ სარეკრეაციო ზონების მოწყობას. ამ ტერიტორიისთვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭებაც სწორედ ასეთი სრულიად ლოგიკური და გამართლებული გადაწყვეტილება იყო. დღეს საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია სახელმწიფოს მხრიდან ერთი კომპანიის კერძო ინტერესების გამო ვაკის მოსახლეობის და ზოგადად ქალაქის ინტერესების შელახვა და ეკოლოგიური საფრთხის შექმნა.
2. კითხვებს ბადებს თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით - K2 3.5 -დან ყველანაირი არგუმენტის გარეშე გაიზარდა 6.5 - მდე, რამაც დეველოპერული კომპანიისთვის 16 სართულიანი შენობის აღმართვა გახადა შესაძლებელი
3. გზატკეცილიდან აღნიშნულ ნაკვეთზე შემოსასვლელი გზა შეიცავს რისკს გზატკეცილზე დასაშვები 80 კმ/სთ -ში მოძრავი მანქანებისთვის, რადგან გზატკეცილიდან გადასახვევად საკმარისი მანძილი არ არის გათვალიწინებული და მანქანებს მოუწევთ მკვეთრად დამუხრუჭება ნაკვეთზე შესახვევად. თუ გავითვალისწინებთ, რომ 16 სართულიან მრავალფუნქციურ შენობას მინიმუმ 400 მანქანის სადგომის საჭიროება ექნება, ამ რაოდენობის მანქანების მოძრაობა და მთავარ გზატკეცილზე გასვლა-შემოსვლა გადატვირთავს მოძრაობას და საცობების კიდევ უფრო დიდ რისკს შექმნის.

4. 16 სართულიანი შენობა აღმოსავლეთიდან სრულად ბლოკავს „მომავლის სკოლას“, რაც სკოლის ეზოსა და შენობას მზის გარეშე ტოვებს, რაც ბავშვების ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას უშლის ხელს.
5. შენობის არქიტექტორული პროექტი, რაც შეტანილია დასამტკიცებლად მერიაში, სამარცხვინოა ქალაქის დღევანდელი არქიტექტურისთვის, შეუსაბამოა თანამედროვე მოთხოვნების მიმართ და მოგვაგონებს საბჭოთა პერიოდის არქიტექტურას.
6. პროექტის კონცეფციასთან დაკავშირებული გათვლები და ბიზნეს ხედვა ცალსახად ეჭვს ბადებს, პროექტის წარმატების მიმართ. პროექტის წარუმატებლობა კი კიდევ ერთი ნახევრად მშენებარე დაუმთავრებელი შენობის პრეცედენტს შექმნის, რაც ამახინჯებს და სახეს უკარგავს ჩვენს ქალაქს: აღნიშნულ ტერიტორიას საფეხმავლო გზა არ გააჩნია, სამანქანო გზა (გზატკეცილი) კი მხოლოდ კერძო მანქანებზეა გათვლილი და ისიც, როგორც ავღნიშნეთ რისკის შემცველია. ეს იმას ნიშნავს, რომ მობინადრეებისთვის ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეუძლებელი იქნება სახლში მისვლა. ასეთ პირობებში უსაფუძვლოა გაყიდვების წარმატებაზე გათვლა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს პროექტის განხორციელებას.
7. თუ დეველოპერი გათვლას აკეთებს ატენის ქუჩიდან ჩამოსასვლელი გზის პერსპექტივაზე, ატენის ქუჩის მოსახლეები ამის წინააღმდეგი ვიქნებით, რადგან ჩვენი ისედაც გადატვირთული ვიწრო ქუჩა, სადაც მუდმივი საცობებია, ფიზიკურად ვერ მოემსახურება კიდევ ერთი მრავალსართულიანი სახლის საჭიროებას და ვერ იტვირთავს ჭავჭავაძის გამზირისა და გზატკეცილის დამაკავშირებელ ფუნქციას.

ამრიგად, შეშფოთებას გამოვთქვამთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის იმავე პერსპექტივით გაყიდვის საშიშროება საფრთხეს უქმნის ქალაქის ეკოლოგიას და განიავების საშუალებას უკეტავს მას, არქიტექტორული თვალსაზრისით ამახინჯებს დედაქალაქის ცენტრალურ ადგილს, რისკის ქვეშ აყენებს გააზტკეცილზე მოძრავი მანქანების უსაფრთხოებას და საცობების განვითარებას უწყობს ხელს, ზღუდავს სკოლის მოწაფეების ჯანსაღად აღზრდის შესაძლებლობას და პროექტის არასწორი კონცეფციის გამო ეჭვის ქვეშ აყენებს პროექტის წარმატებით და ვადაში დასრულებას, რაც თავის თავად დამატებით პრობლემას უჩენს ქალაქს.

და ბოლოს, არსებული დიდი ნაკვეთი (ყოფილი თბომეურნეობის ტერიტორია) ამჟამად დაყოფილია სამ საკადასტრო ერთეულად და მათზე ასევე ვრცელდება სსზ-1-ის გაზრდილი კოეფიციენტები, ანუ შემდეგი ნაკვეთებიც ასევე გამზადებულია გასაყიდად და დარწმუნებით ეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პროექტის განხორციელება დასაბამს დაუდებს მაგისტრალის გასწვრივ სარეკრეაციო ზონის სხვა ფუნქციით ჩანაცვლების მანკიერ პრეცედენტს, რომლის შეჩერებაც უკვე დაგვიანებული იქნება. ასეთი მაგალითები კი ჩვენს ქალაქს სამწუხაროდ მრავლად გააჩნია.

იმედს ვიტოვებთ, რომ შეისწავლით წარმოდგენილ არგუმენტებს და ერთი კომპანიის ფინანსური ინტერესების გამო არ შელახავთ ვაკის რაიონის მოსახლეების, ასობით მოქალაქისა და თქვენი ამომრჩევლის ინტერესებს.

დანართად წარმოგიდგენთ აღნიშნული ტერიტორიის ამონაწერებს საჯარო რეესტრიდან, სამშენებლო ნებართვისთვის წარდგენილ დოკუმენტაციებს და მერიის გადაწყვეტილებებს.

პატივისცემით ,

ჭავჭავაძის #5-ს ამხანაგობის წევრები

„მომავლის სკოლის“ დირექცია, მასწავლებლები და მშობლები

ატენის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა

მწვანეთა მოძრაობა

პარტიზანული მებაღეობა

საზოგადოების წარმომადგენლები, მოქალაქეები

